ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №196

2011 წლის 28 დეკემბერი
ქ.ქობულეთი

2012 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა-განრიგის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა განრიგი თანახმად დანართისა.

2. უფლება მიეცეს მუნიციპალიტეტის გამგეობას მოახდინოს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია 2012 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**